ISSN 2667-9396

№ 24

საქნახშირი

მეგახლე

კომპანიის სიახლეები
ჩვენი თანამშრომლები
ღონისძიებები

ტყიბულის ამბები
იმერეთის სიახლეები
სპორტი

საქნახშირი გასული თვის სამუშაოების ანგარიშს აქვეყნებს

გვ. 2

გვ. 4

ტყიბულის „ორბი“ „ა“ ლიგის ჩემპიონია!

გვ. 5

ტყიბულში მრავალფუნქციური სავაჭრო და გასართობი ცენტრი გაიხსნება

გვ. 6

ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლებმა იმერეთის მუნიციპალიტეტებთან მემორანდუმი გააფორმეს!

აპრილი 2023

საქნახშირი გასულ თვის სამუშაოების ანგარიშს აქვეყნებს

შახტების სარეაბილიტაციო და მოპოვებითი სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

ამ დროისთვის, +275 და -300 ჰორიზონტებს შორის დასრულებულია 112 მ სიგრძის N15 შუროს გაყვანა. გარდა ამისა, -300 ჰორიზონტზე N15 ჯგუფური შუროსა და N19 ქვეშლაგის შემაერთებელი გვირაბის გაყვანა მიმდინარეობს. ეს ყველაფერი საგრძნობლად გაამარტივებს N6 უბანში ნახშირის ტრანსპორტირებას (აღნიშნული საკითხი დიდ პრობლემას ქმნიდა და აფერხებდა ქვანახშირის ტრანსპორტირებას).

მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს +275 ჰორიზონტზე - N15 ჯგუფური შუროსთვის დაიგება ლიანდაგები და მოეწყობა სატვირთავი პუნქტი (150 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე მოხდება სარკინიგზო ხაზების გადაგება).

"მინდელის" სახელობის შახტის დამხმარე ჭაურში შეიცვალა მარჯვენა მზიდი ბაგირი, ასევე, სასკიპე ჭაურის +582 ჰორიზონტზე გამოიცვალა ბუნკერის ძირა ნაწილი.

N4 უბანზე გადაიგო 160 მეტრი კონვეიერის ხვეტია ჯაჭვი.

დასავლეთ შახტზე მიმდინარეობს წყალქცევის 200 მმ დიამეტრის ამორტიზებული წყალსატუმბი მილსადენების გამოცვლა.

ნახშირმზიდი ვაგონებისთვის შეძენილია 60 ერთეული წყვილთვალა რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სავაგონო პარკს.

რაც შეეხება ქვანახშირის მოპოვებას: მარტის თვეში, მოპოვებული ნახშირის რაოდენობამ 24 500 ტონა შეადგინა.

მოპოვების მაჩვენებელი უბნების მიხედვით ასეთია:
N 1 უბანი - 3 715 ტონა
N 4 უბანი - 6 943 ტონა
N 2 უბანი - 7 092 ტონა
N 6 უბანი - 6 750 ტონა

საქნახშირის თანამშრომლებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ

"საქნახშირის" 760 თანამშრომელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა. კვლევები 8 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით, "საქნახშირის" ადმინისტრაციული შენობის სპეციალურად მომზადებულ სამედიცინო პუნქტში ჩატარდა.

აღნიშნული მომსახურებით ისარგებლეს როგორც მიწისქვეშა, ისე ზედაპირულ კომპლექსში დასაქმებულებმა, რომლებსაც ღამის ცვლაში უწევთ მორიგეობა. მათ სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ თერაპევტები, ოფთალმოლოგი, ნევროპათოლოგი, კარდიოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი; გარდა ამისა, ჩაუტარდათ აუდიომეტრია (სმენის შემოწმება), ადგილზე მოწყობილი იყო მინი ლაბორატორია, სადაც ხდებოდა ანალიზების აღება.

სამედიცინო შემოწმებას "საქნახშირის" თანამშრომლები წელიწადში ერთხელ გადიან. ექიმების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მკურნალობა ინიშნება ან ხდება პაციენტების დამატებით გამოკვლევებზე გადამისამართება.

გიორგი კერესელიძე ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გახდა!

ქალაქ ტყიბულში, შუალედური არჩევნების შედეგებით საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატი გიორგი კერესელიძე აირჩიეს (მან ხმების 86% მიიღო).

გიორგი კერესელიძე "საქნახშირის" ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი თანამშრომელია. ამჟამად საშახტო ამწე მანქანის უბნის უფროსის პოზიციაზე მუშაობს. 22 წელია სამთოელია და ერთგულად, უდიდესი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ემსახურება სამთო სფეროს. **"საქნახშირი" ულოცავს მას ამ გამარჯვებას და წარმატებულ საქმიანობას უსურვებს!**

ოჯახი, რომელიც მეშახტეების ცრადიციას ღირსეულად აგრძელებს

ამჯერად, მეშახტეების გამორჩეული ოჯახი უნდა გაგაცნოთ. გოჩა და მელანო კუბლაშვილები 30 წელზე მეტია სამთო სფეროს ემსახურებიან. ოჯახის ტრადიციას ამაყად და, რაც მთავარია, სიამოვნებით აგრძელებენ. იგივე პროფესია აირჩია ლუკამ, მათმა ვაჟმა. სულ რაღაც ორი წელია, რაც ის "საქნახშირის" გუნდის წევრი გახდა.

გოჩა კუბლაშვილი 18 წლის იყო, როდესაც "საქანახშირში" დასაქმდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამთო ინჟინრის სპეციალობით დაამთავრა და 32 წელია სამთო სფეროს ემსახურება. წლების განმავლობაში ამწე მანქანის მემანქანედ, ვენტილაციისა და უსაფრთხოების სამსახურის სმენის ინჟინრად, უბნის უფროსად და მთავარ ინჟინრად მუშაობდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. ამჟამად "საქნახშირის" სასწავლო პუნქტის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტორია და შახტში დასაქმებულებს თეორიულ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებს. ცოტა ხნის წინ, გოჩა კუბლაშვილი ტყიბულის საპატიო მოქალაქეც გახდა.

გოჩა კუბლაშვილი: "ის, რომ სამთოელის პროფესია ავირჩიე, მამაჩემის, ენური კუბლაშვილის დამსახურებაა. ის შახტის მთავარი მექანიკოსი იყო და სწორედ მისი გავლენით შევიყვარე სამთოელის პრფესია. ჩემი და ჩემი მეუღლის შთაგონებით კი, ჩვენი შვილი, ლუკაც მეშახტე გახდა. მეამაყება, რომ მეშახტეების ოჯახი ვართ, გვიყვარს ჩვენი პროფესია და სიამოვნებით ვასრულებთ ჩვენს საქმეს.

მიყვარს ყველა მეშახტე და პატივს ვცემ მათ თავდადებულ შრომას. მთავარი, რაც ჩვენს საქმიანობაში ყველამ უნდა გაითვალისწინოს, უსაფრთხოების წესების დაცვაა. დასაქმებულები მაქსიმალურად იცავენ წესებს და იაზრებენ, რომ საკუთარ თავს და დანარჩენებს საფრთხე არ უნდა შეუქმნან. ამ მხრივ, კომპანიის მხრიდანაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა. ეს საწარმო ტყიბულის მამოძრავებელი ძალაა და მისი დამსახურებაა, რომ ტყიბული გაივსო, ხალხი საკუთარ სახლებსა და ოჯახებს დაუბრუნდა."

მელანო კუბლაშვილი: "34 წელია სამთო სფეროს ვემსახურები. მუშაობა ჯერ შახტის პროფკავშირებში დავიწყე, შემდეგ "მინდელის" სახელობის შახტის სალამპე-სატაბელო სამსახურში გადავედი. დღემდე აქ ვმუშაობ და სატაბელო განყოფილების უფროსი ოპერატორი ვარ. მიყვარს ჩემი პროფესია და განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ საუკეთესო გუნდი ვართ! სამსახურმა ერთმანეთთან ისე დაგვაახლოვა, რომ ერთი დიდი ოჯახი ვართ. მეამაყება, რომ ჩემი შვილიც ამ გუნდის წევრია."

ლუკა კუბლაშვილი: "მშობლების რჩევა გავითვალისწინე და სამთოელის პროფესია ავირჩიე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, სამთო ტექნიკოსის პროფესიას დავეუფლე და შახტში დავსაქმდი. მეამაყება, რომ ოჯახის ტრადიციას ვაგრძელებ და ვცდილობ, ღირსეულად გავართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, რაც შეიძლება მეტი ცოდნა და გამოცდილება მივიღო. 2 წელია ვმუშაობ საუკეთესო ადამიანების გვერდით და ეს კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს."

ჯუბლაშვილების ოჯახი

17 წელი სამთო სფეროში

კაკო ბარამაძე

კაკო ბარამაძე პროფესიით მშენებელია. წლების განმავლობაში, ენერგეტიკისა და სამშენებლო სფეროში, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. "საქნახშირში" 2006 წელს, სამუშაოთა მწარმოებლის პოზიციაზე დასაქმდა. ამ დროს "მინდელის" შახტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. ზედაპირული სარემონტო და სამშნებლო სამუშაოები სწორედ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა (გარემონტდა "მინდელისა" და "ძიძიგურის" შახტის ადმინისტრაციული შენობები, ტექნიკური საამქროები და სხვა); გარდა ამისა, ის ხელმძღვანელობდა ნახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობასაც. „საქნახშირშიც" და ზოგადად, იმერეთის რეგიონში, ბატონი კაკოს ხელმძღვანელობით არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა. იგივე შემართებით აგრძლებს საქმიანობას "საქნახშირის" სამშენებლო-სარემონტო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

კაკო ბარამაძე: „როდესაც "საქნახშირში" მოვედი, საწარმოს რეაბილიტაცია ახალი დაწყებული იყო. გარემონტდა და აღდგა "მინდელისა" და "ძიძიგურის" შახტები. ამის შემდეგ დაიწყო ხალხმა რაიონში დაბრუნება, უამრავი ადამიანი დასაქმდა და ქალაქს გამოცოცხლება დაეტყო. „საქნახშირის" სარემონტო-სამშენებლო განყოფილებაში საუკეთესო ადამიანები მუშაობენ. ჩვენი სამსახურის წარმატებული საქმიანობა მათი დაუღალავი შრომისა და პროფესიონალიზმის შედეგია. კომპანია დღესაც აქტიურად აგრძელებს შახტის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. გარდა ამისა, იგეგმება ახალი შახტის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო მეტად განავითარებს ჩვენს რეგიონს."

ჩვენი გუნდის ახალი წევრი

სანდრო ჩაფიძე

სანდრო ჩაფიძე პროფესიით ბიზნეს სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ბაკალავრია. "საქნახშირში" მუშაობა 2 წლის წინ დაიწყო. თავდაპირველად, მეოთხე უბანში, ბრიგადირის დამხმარედ მუშაობდა. კომპანიის ხელშეწყობით ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების სერტიფიცირების პროგრამის გავლის შემდეგ აფეთქებითი სამუშაოების წარმოების მიწისქვეშა ოსტატ-ამფეთქებელის პოზიციაზე დასაქმდა. ამ პოზიციაზე დასაქმებულებს შორის სანდრო ყველაზე უმცროსია. 23 წლის ასაკში აღებულ დიდ პასუხისმგებლობას შეუდარებელი პროფესიონალიზმით ეკიდება.

სანდრო ჩაფიძე: "ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დავბრუნდი და "საქნახშირში" დავიწყე მუშაობა. სამთოელობა ჩემთვის ძალიან საინტერესო პროფესიაა. მიყვარს ჩემი საქმე და სწორედ ამის გამოა, რომ ხალისი მაქვს მოვიდე, ვიმუშაო და პირნათლად შევასრულო დაკისრებული მოვალეობა. გამორჩეულად მიყვარს ჩემი სამსახური და ხალხი, ვისთან ერთადაც ვმუშაობ!"

ტყიბულის მუნიციპალიტეტში საალდგომო ნობათი დარიგდა

შინმოვლისა და უფასო სასადილოს სერვისით მოსარგებლე ბენეფიციარებს, ასევე, სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე 375 ოჯახს საალდგომო ნობათი დაურიგდათ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე უფასო სასადილოში ბენეფიციარებს და ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისით მოსარგებლე მოხუცებს ოჯახებში ესტუმრნენ, მათ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სასურსათო პაკეტები გადასცეს (უფასო სასადილოს მომსახურებით ყოველდღიურად 110 ადამიანი სარგებლობს, ხოლო შინმოვლის სერვისში 26 ხანდაზმულია ჩართული. საალდგომო ნობათი ყველა მათგანმა მიიღო).

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 16 და 17 აპრილს 08:30 სთ-დან 19:00 საათამდე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი (N1 ავტობუსი) მგზავრებს უფასოდ მოემსახურა.

ტყიბულის „ორბი“ „ა“ ლიგის ჩემპიონია!

ტყიბულის „ორბი“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ლიგის გამარჯვებულია. ჩვენი ქალაქის ისტორიაში პირველად, ტყიბულის საკალათბურთო გუნდი სუპერლიგაში იქნება წარმოდგენილი და უმაღლესი შედეგებისთვის იბრძოლებს.

ამასთან დაკავშირებით, ტყიბულის სპორტის სასახლეში გამარჯვებულების დახვედრის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ცერემონიაზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, შეკრებილ საზოგადოებას და ტყიბულის „ორბს“ მიღწეული შედეგი მიულოცა, გუნდს მომავალი წარმატებები უსურვა და მწვრთნელები, ირაკლი ტომარაძე და ნინო ყიფშიძე გამოვლენილი პროფესიონალიზმისათვის სპეციალურ სიგელებთან ერთად, ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. ღონისძიებას, გულშემატკივრებთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი (ტყიბულის, ზესტაფონის, თერჯოლისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი) ბეჟან წაქაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე, საკალათბურთო კლუბ „ორბის“ პრეზიდენტი, თორნიკე გიორგაძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი ვასილ გველესიანი, “საქნახშირის” გენერალური დირექტორი, მიხაილ სოცკი და სხვა მოწვეული სტუმრები. საზეიმო ღონისძიებას მხატვრული ნომრებით ალამაზებდნენ, ტყიბულის ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, „ცხრაჯვარი“ და „ერთა“. აღსანიშნავია, რომ საკალათბურთო გუნდი ტყიბულის „ორბი“ გასული წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა და მოკლე დროში უდიდეს წარმატებას მიაღწია.

ვულოცავთ კლუბის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებს, კალათბურთელებს და ყველა ტყიბულელს!

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის თასის პირველობა ჯუნგ-ფუშში

აპრილში, ტყიბულის სპორტის სასახლეში მნიშნელოვანი სპორტული შეჯიბრი გაიმართა. შეჯიბრში ტყიბულის კუნგ-ფუს და კარატეს სკოლების, ასევე, ზესტაფონის კუნგ-ფუს ორი სკოლის, ბაღდათის, ხარაგაულისა და აბაშის კუნგ-ფუს სკოლების 75 სპორტსმენი მონაწილობდა.

ტურნირი კუნგ-ფუს სამ სახეობაში გაიმართა: ფაიტინგი, დადზენი და ტუი შოუ. სპორტული ღონისძიების საზეიმო გახსნაზე, ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლის მოსწავლეებმა სანახაობრივი საჩვენებელი გამოსვლა წარმოადგინეს. ბრძოლები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლა (ოლეგ ფანჩულიძის ხელმძღვანელობით) შვიდ გუნდს შორის გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის თასი მოიპოვა. კუნგ-ფუს სკოლის მოსწავლეებმა კუნგ-ფუს სამივე სახეობაში 16 პირველი ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ: დავით ჩეთოშვილი, ნიკოლოზ ბუბაშვილი, საბა აბესაძე, ალექსი მაჭავარიანი, გიორგი ფოფხაძე, გიორგი ტალახაძე, ანდრო ბოჭორიშვილი, გიორგი გოგილიძე, მიხეილ ვერულაშვილი, ოთარ სანიკიანი, ბარბარე აბესაძე, ქეთო ხავთასი,ლუკა მესხორაძე. დავით ჩეთოშვილმა, საბა აბესაძემ და გიორგი ფოფხაძემ ფაიტინგის ორ სხვადასხვა წონით კატეგორიებში იბრძოლეს და გამარჯვება მოიპოვეს. ტურნირი ტყიბულის სპორტული ცენტრის და ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლის ორგანიზებით გაიმართა.

ტურნირში მონაწილეობდა ტყიბულის კარატეს სკოლაც. ახალგაზრდა სპორტსმენების მწვრთნელი ლევან კუბლაშვილი გახლავთ. სწორედ მისი დაუღალავი შრომის დამსახურებაა, რომ ტყიბულელმა კუდოისტებმა 7 პირველი ადგილი მოიპოვეს. ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ:

ირაკლი აკოფოვი, ლაზარე ცქიფურიშვილი, ნიკოლოზ ჩაკვეტაძე, ნიკოლოზ ბოჭორიშვილი, გიორგი ქათამაძე, ლუკა მუჯირი და მათე ცნობილაძე.

ქალაქის ჩემპიონატი ჭადრაკში

დასრულდა ქალაქის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც 8, 10 და 12 წლამდე დამწყებ მოჭადრაკეთა შორის ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და 30 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ჩემპიონატის დახურვის ღონისძიებაზე, გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებზე გასულები ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ და ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, მიხაილ სოცკიმ დააჯილდოვეს.

ჩემპიონატის ყველაზე პატარა მონაწილეს, 5 წლის გიორგი ონიანს, რომელმაც იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირზე 6 წლამდე მოჭადრაკეთა შორის პირველი, ხოლო იმერეთის ჩემპიონატზე 7 წლამდე მოჭადრაკეთა შორის მესამე ადგილი დაიკავა, სპეციალური საჩუქრები გადასცეს.

ირაკლი მერკვილაძე: "ძიუდო დიდ გავლენას ახდენს ბავშვის სწორ აღზრდასა და განვითარებაზე"

განსაკუთრებული სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქში ძიუდო განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ტყიბულის სპორტის სასახლის მცირე დარბაზში აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდა ძიუდოისტების მომზადება. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ძიუდოს ჯგუფმა არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღზარდა. დღეს, სპორტის ამ სახეობას, 6-დან 18 წლამდე ასაკის 70 მდე ტყიბულელი ახალგზრდა ეუფლება.

პროფესიონალი, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მწვრთნელები, გიგა სოფრომაძე, ირაკლი მერკვილაძე და შალვა ბიბილაშვილი, ძალისხმევას არ იშურებენ და განსაკუთრებული ენთუზიაზმით ამზადებენ თითოეულ სპორტსმენს. სწორედ მათი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ყოველწლიურად, ძიუდოს ჯგუფის მოსწავლეები უამრავ წარმატებას აღწევენ სხვადასხვა ჩემპიონატზე. სწავლას და შეჯიბრზე მონაწილეობას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს. ვარჯიშები ყოველ სამუშაო დღეს, დილით და საღამოს ტარდება.

ირაკლი მერკვილაძე (ძიუდოს მწვრთნელი): "ტყიბულში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჭიდაობა, ძიუდო. ბოლო წლებია, ძალიან აქტიურად მუშაობს ძიუდოს ჯგუფი. ტყიბულელმა ძიუდოისტებმა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო ტურნირებზეც, არაერთი წარმატება მოიპოვეს და დამაჯერებელი ასპარეზობით აჩვენეს მომზადების მაღალი დონე. ეს ჩვენი ჯგუფის ახალგაზრდა სპორტსმენებისა და მწვრთნელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია. გვეამაყება, რომ ჩვენი გუნდის მონდომებული შრომის შედეგად, არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩამოყალიბდა სპორტსმენად. ჩვენთან აღიზრდა საქართველოს ტიტულოვანი ძიუდოისტი, ილია სულამანიძე, რომელიც ბავშვობიდან ჩვენი ჯგუფის წევრი იყო და მის სპორტულ აღზრდაში დიდი წვილი მიუძღვით ჯგუფის მწვრთნელებს, განსაკუთრებით გიგა სოფრომაძეს.

ძიუდო დიდ გავლენას ახდენს ბავშვების სწორ აღზრდასა და განვითარებაზე. ჩვენი აღსაზრდელები ცხოვრების სწორ გზას ადგანან და როგორც წესი, დიდ წარმატებას აღწევენ ნებისმიერ სფეროში. დღეს, ჩვენი მთავარი სურვილი ახალი სავარჯიშო სივრცის მოწყობაა, რაც კიდევ უფრო დადებითად იმოქმედებს ტყიბულში ძიუდოს პოპულარიზაციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე."

ტყიბულში მრავალფუნქციური სავაჭრო და გასართობი ცენტრი გაიხსნება



ტყიბულის ცენტრში მდებარე ძველ სასტუმროს მალე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. შენობის პროექტზე მუშაობა დასრულებულია, უახლოეს მომავალში კი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

ძველი სასტუმროს შენობაში მრავალფუნქციური სავაჭრო და გასართობი ცენტრი გაიხსნება, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს თანამედროვე სტანდარტების სასტუმროს, ქართულ-ევროპულ რესტორანს, კინოთეატრს, თავის მოვლის ობიექტს, ქიმწმენდას, ტანსაცმლისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებს, სასურსათო მაღაზიას და ბავშთა გასართობ ცენტრს. შენობის სახურავზე მოეწყობა ღია ტერასა, სადაც განთავსდება მცირე სავარჯიშო დარბაზი, ფრეშ კაფე და ღია რესტორანი ტყიბულისა და ცხრაჯვარის ულამაზესი ხედებით.
ახალი სავაჭრო-გასართობი ცენტრი ტყიბულში 2023 წლის ბოლოს გაიხსნება.

ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლებმა იმერეთის 12 მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში გარემოს მდგრადობასა და ცირკულალურ ეკონომიკაზე იმსჯელეს.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, 12-ვე მუნიციპალიტეტის მერმა, ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც იმერეთის მხარეში ნარჩენების მართვის, სეპარაციისა და გადამუშავების გასაუმჯობესებლად კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში მოქმედი და მოსალოდნელი რეგულაციები ნარჩენების მართვის მიმართულებით.

ხელმომწერთა ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის, სეპარაციისა და გადამუშავების გაუმჯობესებას.

ზვიად შალამბერიძე ევროკავშირის ელჩს საქართველოში, პაველ ჰერჩინსკის შეხვდა

ევროკავშირის დაფინანსებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 69 656 927 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტებია დაფინანსებული. გარდა ამისა, სხვადასხვა პროგრამით არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. პაველ ჰერჩინსკისთან შეხვედრაზე იმერეთის გუბერნატორმა დეტალურად ისაუბრა ევროკავშირის მხარდაჭერით იმერეთში განხორციელებული პროექტების შესახებ და ელჩს მადლობა გადაუხადა.

მხარეებმა შეხვედრაზე იმერეთის ტურისტულ პოტენციალზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საინვესტიციო გარემოზე, სოფლის მეურნეობის, კონკრეტულად კი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის საჭირო პროექტებზე ისაუბრეს.

სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ასევე, ხაზი გაუსვა კიდევ ერთ მასშტაბურ პროექტს, რომლის განხორციელება იმერეთში მალე დაიწყება. საუბარია დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის გაფართოებაზე. დაგეგმილია მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, რომლის მთლიანი საინვესტიციო ბიუჯეტი 47 მილიონი ლარი იქნება. პროექტის ფარგლებში დასრულდება 3,5 კმ-იანი ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის პროექტირება, განხორციელდება სამიმოსვლო ბილიკებისა და ბაქნის გეგმიური რეაბილიტაცია, აშენდება დამატებით 400 ავტომობილზე გათვლილი ახალი ავტოსადგომი, განახლდება და დამონტაჟდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შუქსასიგნალო სისტემები. აღნიშნული პროექტი გარდა ვიზიტორების სიმრავლისა დამატებით ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას სხვადასხვა ქვეყანასთან.

ზვიად შალამბერიძემ ასევე ისაუბრა წყალტუბოს განვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ გენერალური გეგმის თანახმად, უკვე დაიწყო კურორტის ახალი სიცოცხლისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ რამდენიმე სანატორიუმი უკვე გასხვისდა და სანატორიუმების აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ იმერეთის გუბერნატორმა, ქუთაისის მერმა და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, ქუთაისის ცენტრში მდებარე კოლხური შადრევანი მოინახულეს, რომლის რეაბილიტაცია ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა. ასევე დაათვალიერეს რეაბილიტირებული ასსაფეხურიანი კიბე.

ვიზიტის ფარგლებში, ხელისუფლების წარმომადგენლები და ელჩი ქუთაისში მდებარე მწვანე ნარჩენების კომპოსტირების პირველ ცენტრს ესტუმრნენ, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ევროკავშირის დაფინანსებით შეიქმნა. ცენტრი პირველი ობიექტია დასავლეთ საქართველოში, სადაც ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება ხდება და გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში, პაველ ჰერჩინსკი, პირველად ესტუმრა იმერეთის რეგიონს. სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში ელჩი ქუთაისსა და წყალტუბოში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პროექტებს გაეცნო. პროექტების ჩამონათვალი მრავალფეროვანია და ისეთ მიმართულებებს მოიცავს, როგორებიცაა რეგიონული განვითარება, ეკონომიკური გაძლიერება, გარემოს დაცვა, განათლება, უნარების განვითარება და სხვა.

ქალაქებისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო პროგრამა იწყება



ქალაქებისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო პროგრამა მომდევნო 5 წლის განმავლობაში განხორციელდება და მისი ბიუჯეტი 1 მილიარდი ლარი იქნება. პროგრამა უახლოეს პერიოდში დაიწყება. მის განსახორციელებლად, 2023 წელს გათვალისწინებულია 200 მილიონი ლარი. პირველი ეტაპის სამუშაოები მოიცავს შემდეგ მდებარეობებს: ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია, ყაზბეგი.

სამუშაოები ითვალისწინებს კულტურული და ისტორიული შენობების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას, განახლდება/მოეწყობა რეკრეაციული სივრცეები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, შეიქმნება ახალი ტურისტული ატრაქციები.

ხარაგაულში საერთაშორისო სტანდარტის ვიზიტორთა ცენტრი გაიხსნა



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ადმინისტრაციაში საერთაშორისო სტანდარტის ვიზიტორთა ცენტრი გაიხსნა, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია პარკის ბიომრავალფეროვნებისა და ეკოტურისტული სერვისების შესახებ. თანამედროვე საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია პარკის მთავარი ღირსშესანიშნაობები ვიზუალური და ხმოვანი მასალებით, რომელთა მეშვეობით ვიზიტორები ინფორმაციის მიღებას ინტერაქტიულ რეჟიმშიც შეძლებენ.

ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და კავკასიის ბუნების ფონდის (CNF)-ის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო, მათ შორის ტექნიკური განხორციელება ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა უზრუნველყო.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში Wizz Air მეოთხე ბაზირებულ ხომალდს დაამატებს და ქუთაისსა და კოპენჰაგენს შორის იფრენს

2023 წლის 1 დეკემბრიდან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ბაზაზე ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდი ავიაკომპანია Wizz Air საჰაერო ხომალდების რაოდენობას ოთხამდე გაზრდის. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ მოლაპარაკებების საბოლოო რაუნდი ავიაკომპანიასთან წარმატებით დაასრულა.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ავიაკომპანია Wizz Air-ის მეოთხე ბაზირებული ხომალდის დამატების შესახებ გამართულ შეხვედრას, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელი პირები, ასევე ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მეოთხე ბაზირებული AIRBUS 321neo ხომალდით, პირდაპირი რეგულარული რეისები კვირაში ორჯერ, ქუთაისსა და კოპენჰაგენს შორის შესრულდება. ამ დრომდე, საქართველოსა და დანიის სამეფოს შორის, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა არ არსებობს. ასევე, მეოთხე ბაზირებული ხომალდის ფარგლებში სიხშირეები გაიზრდება სხვადასხვა მიმართულებებზე და ზოგიერთი მიმართულება კვირაში 3 და 4 სიხშირით შესრულდება. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის, ირაკლი ქარქაშაძის განცხადებით, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ერთი წლის განმავლობაში ერდროულად Wizz Air-ის ორი ბაზირებული ხომალდი დაიწყებს ოპერირებას.

საქართველოდან ევროპის მიმართულებით ყველაზე მეტი პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან სრულდება. 2023 წლის 1 ივნისიდან ავიაკომპანია Wizz Air ქუთაისიდან მესამე ბაზირებული ხომალდით დაიწყებს ოპერირებას მადრიდის, ბრიუსელის, ფრანკფურტის, ჰამბურგისა და პოზნანის მიმართულებით. 2023 წლის ბოლომდე კი დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან ევროპული მიმართულებების რაოდენობა 30 მდე გაიზრდება.

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ შეგროვებული წიგნები პენიტენციურ დაწესებულებაში გადანაწილდება

პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკების განახლების მიზნით, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი საჯარო და კერძო სექტორთან თანამშრომლობას აგრძელებს. ამჯერად, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ მსჯავრდებულებისთვის 1500-ზე მეტი წიგნი შეგროვდა.

„ჩვენი და ქვეყნის პროგრესისთვის - შეაგროვე ცოდნა“ - აღნიშნული პროექტის ფარგლებში, იმერეთის რეგიონში შეგროვებული წიგნები მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გადაეცა.

ღონისძიებას იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ლევან სანიკიძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროექტი „ჩვენი და ქვეყნის პროგრესისთვის - შეაგროვე ცოდნა“ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ინიციატივით, წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღეს დაიწყო. პროექტი, სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის 16 000-მდე წიგნის შეგროვებას ითვალისწინებს და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს აქვს.

სპორტის საერთაშორისო დღეს იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტი შეუერთდა

იმერეთში, მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული ღონისძიება იმართებოდა. სპორტული აქტივობების ფარგლებში, ზესტაფონის სასპორტო სკოლაში, ზესტაფონის პირველი მოფარიკავის და ფარიკაობის სკოლის დამაარსებლის, სიმონ საყვარელიძისა და ტიტულოვანი მოჭიდავის, ჯონდო ჯანიაშვილის ვარსკვლავი გაიხსნა.

ცერემონიის დასრულების შემდეგ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, სასპორტო სკოლაში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს შესაბამისი ინვენტარი გადასცა და წარმატებები უსურვა.

გარდა ამისა, მამუკა ასლანიკაშვილის სახელობის სანაპიროზე გარბენი მოეწყო. მარათონულ გარბენში მონაწილეობა სასპორტო სკოლის, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა მიიღეს.

ზესტაფონში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში, მაგიდის ჩოგბურთში, იმერეთის რეგიონის სკოლებს შორის ფინალური შეხვედრაც გაიმართა.

საქნახშირი

“მოძრაობისას სახაღლო ვაგონებში ჩაჯდომა ან ვაგონიდან გადმოსვლა მისი სრშელად გაჩერების შემდეგ უნდა მოხდეს.

უსაფრთხოების წესების დაცვა უფრო მარტივია, ვიდრე მათი დარღვევით გამოწვეული შედეგების გამოსწორება.

გიორგი ჭელიძე

საშახტო ტრანსპორტის უბნის მიწისქვეშა ელმავლის მემანქანე

მეშახტე

აპრილი 2023

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.
მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

ჟურნალისტიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri